

საქართველოს კანონი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ №3, 1998 წ., მუხ. 30) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაბადების შესახებ სამედიცინო საბუთის არარსებობისას დაბადების რეგისტრაცია სრულდება დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე.“.

2. 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს მეუღლის მიერ განქორწინების თაობაზე განცხადების წარდგენიდან 15 სამუშაო დღის გასვლის შემდეგ.“.

3. 77-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ამ კანონის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტები.“.

4. 88-ე მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან კერძო სამედიცინო დაწესებულების, პათოლოგანატომიური საქმიანობის (კლინიკური პათოლოგიის) ან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის განმახორციელებელი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც გააჩნია გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობის გაცემის უფლებამოსილება, მაგრამ არ იმყოფება შრომით ურთიერთობაში არცერთ ზემოაღნიშნულ დაწესებულებასთან – ცნობის გაცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ პირი ამ დაწესებულებაში გარდაიცვალა ან გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა გასცა ამ დაწესებულებამ ან პირმა;

ზ) გამგეობის (მერიის) რწმუნებულს – პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;“.

5. 88-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) პანსიონატის, თავშესაფრის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს – პირის გარდაცვალებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ იგი ამ დაწესებულებაში გარდაიცვალა.“;

6. 88-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს წარედგინება გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა, რომლის ფორმა მტკიცდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.“.

7. 88¹ მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ.ა) უფლებამოსილი დაწესებულების ან პირის მიერ გაცემული გარდაცვალების შესახებ სამედიცინო ცნობა;“.

8. 89-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გარდაცვალების შესახებ განცხადებული უნდა იქნეს პირის გარდაცვალების შესახებ შეტყობიდან ერთი წლის ვადაში, გარდა ამ კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“-„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

9. 90-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

10. 91-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

11. 113-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 113. სამოქალაქო აქტების ჩანაწერების აღდგენა

1. ქორწინების, განქორწინების, შვილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლის შესახებ ჩანაწერების აღდგენას აწარმოებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლებამოსილი ორგანო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განმცხადებლის სურვილისამებრ, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის, სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის შესრულების ან განმცხადებლის რეგისტრაციის აღგების მიხედვით.

2. დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ ჩანაწერების აღდგენას აწარმოებს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური სამოქალაქო აქტების

რეგისტრაციის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე, განმცხადებლის სურვილისამებრ, გადაწყვეტილების გამოტანის, სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის შესრულების ან განმცხადებლის რეგისტრაციის აღდგენის მიხედვით.“.

12. 116-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამოქალაქო აქტის ჩანაწერი (გარდა ქორწინების აქტის ჩანაწერისა) მიუხედავად მისი შედგენის დროისა, შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹ მუხლით დადგენილი წესით.“.

13. 122-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებით მოწმობებს გასცემს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო მასთან დაცული სამოქალაქო აქტების საფუძველზე. სააგენტოს ტერიტორიული სამსახური (გარდა ქორწინების სახლისა) და საქართველოს საკონსულო დაწესებულება, რომელიც დაკავშირებულია სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან, უფლებამოსილნი არიან აგრეთვე გასცენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები და ინფორმაცია სააგენტოს სხვა ტერიტორიულ სამსახურებში და სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზასთან დაკავშირებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულებებში შენახული აქტების საფუძველზე.“.

14. 123-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 და მე-8 პუნქტები:

„7. 2015 წლის 30 დეკემბრამდე იმ პირთა გარდაცვალების რეგისტრაცია, რომელთაც მიღებული აქვთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და რეგისტრირებულნი არიან სააგენტოს მონაცემთა ბაზაში, ამ კანონის X თავით დადგენილი ზოგადი წესის გარდა, აგრეთვე შეიძლება განხორციელდეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების მიერ შედგენილი ოქმის საფუძველზე, რომლის ფორმა დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

8. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები პირის გარდაცვალების შესახებ ოქმს ადგენენ იმ შემთხვევაში, თუ მათთვის ამა თუ იმ გზით ცნობილი გახდა პირის გარდაცვალების ფაქტი (მიუხედავად გარდაცვალების დროისა), რაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება მოწმის ჩვენებით ან სხვა მტკიცებულებებით და კანონით დადგენილი წესით გარდაცვალების რეგისტრაციის მოთხოვნით სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის არ მიუმართავს არც ერთ უფლებამოსილ პირს ან ორგანოს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.